

საით წავიდეთ ექსკურსიაზე - თბილისი

თამარ კაციტაძე

თბილისის მთავარი ღირსშესანიშნაობები მისი ისტორიული ძეგლებია - ციხე-სიმაგრე "ნარიყალა" IV საუკუნეში დაფუძნდა როგორც "შურის ციხე". დღემდე მოღწეული ძირითადი გამაგრებები XVI და XVII საუკუნეებით თარიღდება; "აბანოთ უბანი" თავისი გოგირდის წყლებით, რასაც უკავშირდება ლეგენდა თბილისის დაარსებაზე; მეტეხი V საუკუნის ძეგლი; თბილისის ქარვასლები; მეფე ერეკლეს მეუღლის დარეჯანის სასახლე; V ს-ის II ნახევარში აგებული სიონის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი; VI საუკუნით თარიღდება ანჩისხატის ტაძარი; VI საუკუნიდან იწყება მამადავითის ეკლესიის ისტორია; ქაშვეთის ეკლესია- XVIII საუკუნის ძეგლი; დიდუბის ღმრთისმშობლის ეკლესია, რომელშიც 1189 წელს დაიწერეს ჯვარი თამარ მეფემ და დავით სოსლანმა; ლურჯი მონასტერი, ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, აშენებულია XII საუკუნის მიწურულს და ა.შ.

თბილისი გამოირჩევა მუზეუმების სიუხვითაც, რომლებიც ჩვენ თემების მიხედვით დავყავით

ისტორია

თბილისის ეროვნული მუზეუმი მდებარეობს რუსთველის გამზირი N 3, ეს არის საქართველოს მუზეუმების უდიდესი გაერთიანება, სამეცნიერო, საგანმანათლებლო და კულტურული ცენტრი. მის შემადგენლობაში შედის: სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი, სამცხე-ჯავახეთის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო მუზეუმი, გიორგი ჩიტაიას სახელობის ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის სახელმწიფო მუზეუმი (მუზეუმი ღია ცის ქვეშ), შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი (ფილიალები: ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმი, მოსე თოიძის სახლ-მუზეუმი, ლადო გუდიაშვილის სახლ-მუზეუმი, იაკობ ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი და უჩა ჯაფარიძის სახლ-მუზეუმი), საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი, დმანისის ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი, ვანის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი, იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა), სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი და ლეო დავითაშვილის სახელობის პალეობიოლოგიის ინსტიტუტი.

ეროვნული მუზეუმის კოლექციებში დაცულია საქართველოს ეროვნული საგანძურის უდიდესი ნაწილი, კერძოდ, 1200 000 ექსპონატი.

სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი - მდებარეობს რუსთაველის გამზირი N 3 .

ეს არის საქართველოს ერთ-ერთი უძველესი მუზეუმი, სადაც დაცულია მდიდარი არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალა, ქართული ოქრომჭედლობის, ხატწერის ნიმუშები და სხვა. სტაციონარულ ექსპოზიციებს შორის აღსანიშნავია დმანისში აღმოჩენილი ჰომინიდების ნაშთების გამოფენა, რომელიც 1.800 000 წლით თარიღდება. მუზეუმში ექსპონირებულია აგრეთვე: ნეოლითისა და ბრინჯაოს ხანის პერიოდის არქეოლოგიური აღმოჩენების მრავალრიცხოვანი მასალა, მრავალფეროვანი ოქროს ფონდი (მვირფასი ლითონისა და ქვის ნაკეთობები ჩვ. აღ-მდე III ათასწლეულის II ნახევრიდან ჩვ. წ. IV ს.-ის ჩათვლით).

შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი - მდებარეობა ლადო გუდიაშვილის N 1

მუზეუმის ექსპოზიციებში ძირითადად წარმოდგენილია ხელოვნების ნიმუშები შუა საუკუნეების ხანიდან მე-20 საუკუნის ჩათვლით, სულ დაცულია 38 900-ზე მეტი ექსპონატი. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ოქროს ფონდს (საგანძური), სადაც გამოფენილია VIII-XIX სს-ის ქართული ოქრომჭედლობისა და ტიხრული მინანქრის უნიკალური ნაკეთობები (VIII-XV სს.), რიტუალური დანიშნულების საეკლესიო ნივთები, მხატვრული ნაქარგობის ნატიფი ნიმუშები, აგრეთვე შუასაუკუნეების ქართული არქიტექტურის, მონუმენტური ფერწერისა და მოზაიკის, ქანდაკების, ხატწერის, ხეზე კვეთის ნიმუშები. მუზეუმში დაცულია ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევრების კოლექცია (146 ფერწერული ტილო), გიგო გაბაშვილის, იაკობ ნიკოლაძის, ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძისა და სხვა ქართველ მხატვართა ნაწარმოებები, XVIII-XIX სს-ების რუსეთის, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებისა (ლუკას კრანახი, შარდენი და სხვ.) და აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხთა ხელოვნების, მათ შორის, ყაჯარული პორტრეტების უმდიდრესი კოლექცია.

იოსებ გრიშაშვილის სახელების თბილისის ისტორიული მუზეუმის ნახვა შეიძლება სიონის ქუჩა N 1-ში

აქ ინახება 50 000 ექსპონატი, რომელიც ასახავს თბილისის ისტორიას, ყოფას და კულტურას. მათ შორის, მდიდარი არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, დოკუმენტური მასალა, ხალხური გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, ბრინჯაოს ხანის იარაღი და თიხის ნაწარმი, ფეოდალური ხანის მოჭიქული და სხვა სახის თიხის ჭურჭელი,

ქაშანურის და ფაიფურის ნაწარმი, საბრძოლო იარაღი, მუსიკალური ინსტრუმენტები, ნუმიზმატიკა, ქართველ და უცხოელ მხატვართა მხატვრული და გრაფიკული ნამუშევრები.

თბილისის არქეოლოგიური საცავი - მდებარეობს თრელის გორაზე

საცავში დაცულია 10 000 ექსპონატი - თბილისის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ძეგლები, რომელთა ქრონოლოგია მოიცავს პერიოდს ძვ. წ. V ათასწლეულიდან ფეოდალური ხანის ჩათვლით. მათ შორის: მოკალუღი ბრინჯაოს ნივთები დელისის ნამოსახლარიდან, რომელთა ასაკი 4000 წელს აღწევს; თრელის სამაროვანის ძვ. წ. XII-VIII-VII სს-ის სამეფო სამარხების ინვენტარი, ბრინჯაოსა და თიხის მცირე სკულპტურის ნიმუშები, სხვადასხვა მასალებისაგან დამზადებული სამკაულები, კერამიკისა და მინის ნაწარმი და სხვა.

საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი - რუსთაველის გამზირი N 3

მუზეუმში დაცულია დამოუკიდებელი საქართველოს ბოლშევიკური რუსეთის მიერ ოკუპაცია-ანექსიის (1921 წლის თებერვალი-მარტი) და ანტისაოკუპაციო, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის (1921-1990) ისტორიის ამსახველი მნიშვნელოვანი დოკუმენტური და ფოტომასალა. აგრეთვე, ამ პერიოდის თვალსაჩინო მოღვაწეთა მემორიალური ნივთები და მათ მოღვაწეობასთან დაკავშირებული მასალა. ამასთან, მნიშვნელოვანია 1920-იან-1940-იანი წლების "წითელი ტერორის" დროს დახვრეტილ და გადასახლებულ მამულიშვილთა სიები, ქართული ეკლესიის და სასულიერო მოღვაწეთა სასტიკი დევნის შესახებ დოკუმენტური მასალა და ა.შ. ექსპოზიცია მოიცავს 3000-ზე მეტ ექსპონატს.

მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმი - ზანდუკელის ქ. 11

საქართველოს ეროვნული გმირის, ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლისა და საზოგადო მოღვაწის – მერაბ კოსტავას ბინაში გახსნილ სახლ-მუზეუმში დაცულია მერაბ კოსტავას პირადი ნივთები, ბიბლიოთეკა, ფოტომასალა, გრამფირფიტები.

საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი - შალვა დადიანის ქ. N 28

დამთვალეირებული მუზეუმში ნახავს XIX-XX ს.ს. მიჯნის საქართველოს და კავკასიის ქვეყნების ხალხთა ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობანი, ხის, ლითონის, ძვლის მხატვრულად დამუშავებული ნიმუშები (ძირითადად - სამკაული, ქაშრები, იარაღი, საოჯახო ნივთები), აბრეშუმის, ტყავისა და მაუდის ნაწარმი, კავკასიური ხალიჩების კოლექცია, მუსიკალური ინსტრუმენტები, კოსტიუმები, გობელენები, ნაქარგობის ნიმუშები, მხატვარ-პრიმიტივისტთა ფერწერული, გრაფიკული და სკულპტურული

ნამუშევრები, ლატვიელი მხატვრის იული სტრაუმეს (1874-1970) კავკასიის თემაზე შექმნილი ესკიზებისა და ჩანახატების მრავალრიცხოვანი კოლექცია.

დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმი - ვახტანგ გორგასალის ქუჩა 17

მუზეუმი დაარსდა 1932 წელს და იგი განთავსებულია XX ს-ის დასაწყისის არქიტექტურულ ნაგებობაში ("გუმბათოვანი სინაგოგის" ყოფილ შენობაში). 1951 წელს საბჭოთა კავშირში მიმდინარე ანტისემიტური მოძრაობის დროს მუზეუმი გაუქმდა, ფონდებში დაცული ათასობით უნიკალური ექსპონატი გადანაწილდა საქართველოს სხვადასხვა მუზეუმში და დღესაც, მუზეუმის შენობის ავარიულობის გამო, ექსპონატები ვერ ბრუნდება მუზეუმში. მუზეუმი შენობის ავარიულობის გამო დროებით არ ფუნქციონირებს

მირზა-ფათალი ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმი - ვახტანგ გორგასალის ქ. N 17

მუზეუმში დაცულია აზერბაიჯანელი საზოგადო მოღვაწეებისა და მწერლების მირზა-ფათალი ახუნდოვის, ნარიმან ნარიმანოვის და მამედ ყული ზადეს მემორიალური ნივთები, აგრეთვე საქართველო-აზერბაიჯანის კულტურული ურთიერთობების ამსახველი ფოტომასალა, წიგნები, დოკუმენტები, სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის გამოცემები აზერბაიჯანულ ენაზე და სხვა.

ლიტერატურა

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი - მერაბ ალექსიძის ქ. 1/3

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი დაფუძნდა 2006 წელს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ბაზაზე (შეიქმნა 1958 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბაზაზე). დღეისათვის ცენტრის ფონდებში დაცულია 170 000 ხელნაწერი ქართულ, ბერძნულ, ებრაულ, სირიულ, ეთიოპურ, სომხურ, არაბულ, სპარსულ, თურქულ, სლავურ ენებზე (I ს-დან XX ს-ის ჩათვლით).

ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი - ივანე ჯავახიშვილის ქ. N 7

დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის (1837-1907 წწ.) ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი წარმოადგენს კომპლექსს, რომლის შემადგენლობაში შედის ილია ჭავჭავაძის თბილისის სახლ-მუზეუმი, ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი, სადაც მოთავსებული იყო გაზეთ “ივერიის” რედაქცია და სტამბა. მუზეუმში დაცულია ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული მემორიალური ნივთები, ბიბლიოთეკა, დოკუმენტური და ფოტო მასალა, ილიას მიერ გამოცემული ჟურნალ-გაზეთები, ხელნაწერები, XIX-XX სს-ის დასაწყისის ფერწერული ტილოები, გრაფიკული ნამუშევრები, ილიას თხზულებათა გამოცემები და სხვა.

ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმს აქვს ორი განყოფილება - ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი - მისამართი: გ. ჩუბინაშვილის ქ. N 22, სადაც დაცულია საზოგადოებრივი მოღვაწის პირადი ნივთები და შიო არაგვისპირელის სახლ-მუზეუმი - გ. ჩუბინაშვილის ქ. N 13. აქ დამთვალიერებელი ნახავ მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ ფოტო და დოკუმენტურ მასალებს.

შიო არაგვისპირელის (დედაბრიშვილის) სახლ-მუზეუმი - გიორგი ჩუბინაშვილის ქ. 13

სახლ-მუზეუმში დაცულია მწერლის პირადი ნივთები და არქივი, ბიბლიოთეკა, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტომასალა და სხვა დოკუმენტები. რომლებიც დამთვალიერებელს აცნობს მწერლის შემოქმედებას და ცხოვრებისეულ გზას. სახლ-მუზეუმი გაიხსნა 2009 წელს.

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი - გიორგი ჭანტურიას ქუჩა N 8

მუზეუმი განთავსებულია XIX ს-ის 50-იანი წლებში აშენებულ კავკასიის მთავარმართლებლის – ალექსანდრ ბარიატინსკის სასახლეში. მუზეუმში წარმოდგენილია ძველი და თანამედროვე ქართული ლიტერატურის, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური ნიმუშები: ხელნაწერები - (XII ს. ათონური ოთხთავი, XVII-XIX ს.ს. ფილოსოფიურ-რელიგიური თხზულებები), ცნობილი ქართველი და უცხოელი მწერლებისა და მხატვრების ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, ფოტო და დოკუმენტური მასალა, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული წიგნები, აუდიო და ვიდეო ჩანაწერები. სულ 157031 ექსპონატი

გალაკტიონ ტაბიძის მემორიალური მუზეუმი - მარჯანიშვილის ქ. 4

გალაკტიონ ტაბიძის (1891-1959) მემორიალური მუზეუმი გაიხსნა სახლში, სადაც მან სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა (1935–1959). მწერლის სამუშაო ოთახი და საცხოვრებელი გარემო თითქმის უცვლელადაა აღდგენილი. მემორიალური ნივთების გარდა, მუზეუმში დაცულია ფოტომასალები, ხელნაწერები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც გალაკტიონის ცხოვრების ერთგვარ მემკვიდრეს წარმოადგენს.

ტიციან ტაბიძის სახლ - მუზეუმი - ალ. გრიბოედოვის ქ. 18

ტიციან ტაბიძის (1895 – 1937) ბინა-მუზეუმში დაცული და ექსპონირებულია პოეტის პირადი ნივთები და არქივი, ბიბლიოთეკა, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტომასალა და სხვა დოკუმენტები. რომლებიც დამთვალიერებელს აცნობს მწერლის შემოქმედებას და რთულ ცხოვრებისეულ გზას (ტიციან ტაბიძე 30-იანი წლების რეპრესიებმა შეიწირა - დახვრიტეს 1937 წელს).

ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმი- თბილისი, ჩახრუხადის ქ. N17

სახლ-მუზეუმში ინახება ნიკოლოზ ბარათაშვილის (1817-1845 წწ.) ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ფოტომასალა, ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, სხვადასხვა დანიშნულების XIX საუკუნის ყოფითი ნივთები, რომლებიც აღადგენს ხელოვანის თანადროულ გარემოს და დამთვალიერებელს აზიარებს XIX ს-ის თბილისურ ყოფას.

მიხეილ ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი - მიხეილ ჯავახიშვილის N21

სახლ-მუზეუმში ექსპონირებულია მწერლის პირადი ნივთები და არქივი, ბიბლიოთეკა, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტომასალა და სხვა დოკუმენტები. რომლებიც დამთვალიერებელს აცნობს მწერლის შემოქმედებას და რთულ ცხოვრებისეულ გზას (მიხეილ ჯავახიშვილი 30-იანი წლების რეპრესიებმა შეიწირა - დახვრიტეს 1937 წელს).

იოსებ გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი - თბილისი, ალგეთის ქ. 1

მუზეუმში დაცულია ქართველი სახალხო პოეტის იოსებ გრიშაშვილის (1889-1965) პირადი არქივი, ბიბლიოგრაფიულ იმვიათობად ქცეული გამოცემები, ქალაქური ფოლკლორის ნიმუშები, უნიკალური დოკუმენტები, არქივი და ფოტოები, ქართული ხალხური საკრავების კოლექცია, ნოტები, გრამფირფიტები, ხელნაწერი წიგნები, გაზეთები და სხვა - სულ 20 000-ზე მეტი ექსპონატი.

ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმი - ილია ჭავჭავაძის პირველი შესახვევი, სახლი 2, I სადარბაზო, 7 სართ., თბილისი

სახლ-მუზეუმში დაცული და ექსპონირებულია მწერლის პირადი ნივთები და არქივი, ბიბლიოთეკა, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტომასალა, მიმოწერა, წიგნები და სხვა დოკუმენტები. რომლებიც დამთვალეიერებელს აცნობს მწერლის შემოქმედებას და ცხოვრებისეულ გზას.

გურამ რჩეულიშვილის მუზეუმი - მდებარეობს თბილისის 30-ე საჯარო სკოლაში-კიევის ქ. N 4

თბილისის 30-ე საჯარო სკოლის მუზეუმის ექსპოზიცია მოიცავს ცნობილი ქართველი მწერლის გურამ რჩეულიშვილის (1934-1960) ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ მასალებს (კრებულები, ფოტოები, პირადი არქივი და სხვა), რომლებიც სკოლას გადასცეს მწერლის ოჯახის წევრებმა და მეგობრებმა.

მხატვრობა

საქართველოს ეროვნული გალერეა - რუსთაველის გამზირი N 11

გალერეის ფონდებში დაცულია თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების (ფერწერა, გრაფიკა, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება) ნიმუშები, მათ შორის: ელენე ახვლედიანის, დავით კაკაბაძის, ლადო გუდიაშვილის, სერგო ქობულაძის, ზურაბ ნიჟარაძის, ედმუნდ კალანდაძის, თენგიზ მირზაშვილის, დიმიტრი ერისთავის, მერაბ ბერძენიშვილის, ელგუჯა ამაშუკელის, ირაკლი ფარჯიანის, გია ბუღაძის, გია გუგუშვილის, ირაკლი სუთიძის, ლევან ლალიძის, ნანა ჭურღულიას, გოგი წერეთლისა და სხვათა ნამუშევრები. სულ 30 000 ექსპონატი.

ნიკო ფიროსმანაშვილის მუზეუმი - ნიკო ფიროსმანის ქ. 29

მუზეუმი წარმოადგენს ცნობილი ქართველი მხატვრის - ნიკო ფიროსმანაშვილის (1862-1918) მირზაანის სახლ-მუზეუმის ფილიალს და ყოფილ საცხოვრებელ ბინას, სადაც მან სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა. მუზეუმში დაცულია მხატვრის რამდენიმე სურათის ასლი (ორიგინალები დაცულია შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმში და მირზაანის სახლ-მუზეუმში), პირადი ნივთი, ჭურჭელი და სხვა. სულ 200 ექსპონატი.

ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმი - ქუჩიშვილის ქ. N 7

სახლ-მუზეუმი დაფუძნდა ცნობილი ქართველი მხატვრის - ელენე ახვლედიანის (1901-1975 წწ.) ბინა-სახელოსნოს ბაზაზე. აქ სახლ-მუზეუმში ექსპონირებულია მხატვრის მიერ სხვადასხვა პერიოდში შესრულებული ფერწერული ტილოები (ძირითადად საქართველოს სხვადასხვა კუთხის პეიზაჟები), გრაფიკული და სცენოგრაფიული ნამუშევრები; აგრეთვე მის მიერვე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შეგროვებული

უტილიტარულ-დეკორატიული ნივთები - XIX-XX სს-ის გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები.

უჩა ჯაფარიძის სახლ-მუზეუმი - შიო მღვიმელის ქ. 2

მუზეუმი დაარსდა ცნობილი ქართველი მხატვრის - უჩა ჯაფარიძის (1906-1986) ბინა - სახელოსნოს ბაზაზე. მასში დაცულია მხატვრის ფერწერული ტილოები, გრაფიკული ნამუშევრები, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტო და სხვა დოკუმენტური მასალები.

მოსე თოიძის სახლ-მუზეუმი - რეზო ლალიძის ქ. N 1

მუზეუმში დაცულია ცნობილი ქართველი მხატვრის, მოსე თოიძის ფერწერული ტილოები, გრაფიკული ნამუშევრები, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტო და დოკუმენტური მასალები. მუზეუმში დაცულია აგრეთვე მხატვრის შვილის - მხატვარ ირაკლი თოიძის ნამუშევრები.

იაკობ ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი - როდენის ქუჩა N 6

სახლ-მუზეუმში ექსპონირებულია მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის (1876-1951 წწ.) მიერ შესრულებული ქანდაკებები: ბიუსტები, პორტრეტები, ფიგურები. იგი იყო ქართული რეალისტური ქანდაკების ფუძემდებელი და თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი პროფესორი.

ნიკოლოზ (კოკა) იგნატოვის სახლ-მუზეუმი - ზანდუკელის ქ. 6

სახლ-მუზეუმში ინახება მხატვრის ფერწერული ტილოები, გრაფიკული ნამუშევრები და ჩანახატები, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტო და დოკუმენტური მასალები, მხატვრის პირადი არქივი.

ნათელა იანჭოშვილის სახლ-მუზეუმი - რუსთაველის გამზირი 26

ცნობილი ქართველი მხატვრის ნათელა იანჭოშვილის (1918-2008) სახლ-მუზეუმში დაცულია მხატვრის ფერწერული ტილოები, გრაფიკული ნამუშევრები და ჩანახატები, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტო და დოკუმენტური მასალები, მხატვრის პირადი არქივი.

სოსო წერეთელის სახლ-მუზეუმი - დიმიტრი უზნაძის ქ. 2

ქართველი მხატვრის სოსო წერეთელის (1958-1983) სახლ-მუზეუმში დაცულია მხატვრის ფერწერული ტილოები, გრაფიკული ნამუშევრები და ჩანახატები, მისი

ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტო და დოკუმენტური მასალები, მხატვრის პირადი არქივი.

აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მუზეუმი - გრიბოედოვის ქ N 22

აქ ინახება თბილისის სამხატვრო აკადემიის სხვადასხვა ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა და პედაგოგთა ნამუშევრები (მოყოლებული XX ს-ის 30-იანი წლებიდან), ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, ჩანახატები და ესკიზები.

ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეა - შავთელის ქ. N 17ა

აქ მოზარდები მოინახულებენ რამდენიმე ათეული წლის მანძილზე (1970-იანი წლებიდან) მათი თანატოლების მიერ შესრულებულ სახვითი ხელოვნებისა და ხალხური რეწვის ნიმუშებს.

თოჯინების მუზეუმი - შავთელის N17ა

მუზეუმში დაცულია მექანიკური (ევროპული, ქართული) თოჯინების უნიკალური კოლექცია, საავტორო თოჯინები, რომელთა შორისაა ფლამენგოს მოცეკვავეები, ინდიელი ბელადი და იაპონელი ქალბატონები, ქართული ზღაპრებისა და ლიტერატურულ ნაწარმოებთა გმირები, მოცეკვავეები, აგრეთვე, სხვადასხვა სათამაშოები, ანტიკვარული ავეჯი, წიგნები, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, ნაქარგობების იშვითი კოლექცია და სხვა.

ანიმაციური თოჯინების მუზეუმი - ამაღლების ქ. N 23

მუზეუმი საკუთარ სტუდიაში შექმნა ცნობილმა ქართველმა რეჟისორმა კარლო სულაკაურმა (1924-2000), რომელიც 1989 წლიდან აგროვებდა ექსპონატებს. ამჟამად მუზეუმში დაცულია ანიმაციური კინო თოჯინების უნიკალური კოლექცია, რომლებიც შექმნილი იყო სხვადასხვა ქართული მულტფილმებისათვის ("სალამურა", "გოგონა და შადრევანი", "საზამთრო", "ბომბორა" და სხვა) კარლო სულაკაურის, გივი კასრაძისა და სხვა ქართველ მხატვართა მიერ. აგრეთვე ესკიზები, ჩანახატები და საარქივო მასალები.

ქართული ფოტოგრაფიის მუზეუმი - ეს არს საქართველოში პირველი ვირტუალური მუზეუმი www.photomuseum.org.ge, აქ დამთვალიერებელს შეუძლია ნახოს 3 000-ზე მეტი ექსპონატი. მუზეუმი მოიცავს საქართველოში ფოტოგრაფიის განვითარების ეტაპებს დაგეროტიპებიდან დღემდე.

მუსიკა

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მუზეუმი - რუსთაველის გამზ. N 25

მუზეუმში დაცულია 40 000-ზე მეტი ექსპონატი - ოპერის ძველი და ახალი სპექტაკლების პროგრამები, აფიშები, მოსაწვევები, აგრეთვე ხელნაწერები, ფოტოები, ნეგატივები, სახვითი ხელოვნების ნიმუშები, წიგნები, ოპერის შენობისა და მისი სცენის მაკეტები, მომღერალთა კოსტიუმები, მემორიალური ნივთები და საჩუქრები.

ზაქარია ფალიაშვილის სახლ-მუზეუმი - დავით ბაქრაძის ქ. 10

მუზეუმში ინახება კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის (1871-1933 წწ.) ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული მასალები: მემორიალური ნივთები, პირადი არქივი, კომპოზიტორის მიერ შექმნილი ოპერების ("აბესალომ და ეთერი", "დაისი") პარტიტურების ორიგინალები, პირველი დადგმების აფიშები, სხვადასხვა დოკუმენტური და ფოტო მასალა, ხელნაწერები, ბიბლიოთეკა და სხვა.

ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალური ბინა- მუზეუმი - დავით აღმაშენებლის გამზ. 83 /23

ცნობილი ქართველი მოცეკვავისა და ბალეტმანისტერის - ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალურ მუზეუმში ექსპონირებულია ბალერონის პირადი ნივთები (ავეჯი, როიალი და სხვ.), სასცენო კოსტიუმები, მის მიერ განსახიერებული როლებისა და ცხოვრების ამსახველი მრავალფეროვანი ფოტოკოლექცია, პირადი ბიბლიოთეკა და არქივი.

ვანო სარაჯიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ისტორიის მუზეუმი - გრიბოედოვის ქ. N 8.

კონსერვატორიის მუზეუმის ფონდებში დაცულია ქართული მუსიკალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშები (XIX საუკუნის II ნახევრიდან დღემდე). მათ შორისაა აფიშები, პროგრამები, ხელნაწერები, ქართველ მხატვართა მიერ საოპერო სპექტაკლებისათვის შექმნილი ესკიზები და ლიბრეტოები, კონსერვატორიის ისტორიის ამსახველი დოკუმენტაცია და ფოტომასალა.

ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმი -

სამღებროს ქ. N 6 (ნარიყალას ციხის ასახვევთან)

მუზეუმში დაცულია ქართული და ამიერკავკასიის რეგიონში გავრცელებული აუთენტური მუსიკალური საკრავები, მუსიკალური საკრავები, ევროპული, მექანიკური და კლასიკური მუსიკალური საკრავები, არღნების კოლექცია, ასევე ქართული ხალხური მუსიკის ხელნაწერი სანოტო მასალები, აუდიო-ვიდეო ჩანაწერები, ფონო-ფოტო მასალა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, XX ს-ის დასაწყისში გრამფირფიტაზე ჩაწერილი ქართული ხალხური და აღმოსავლური სიმღერები.

კინო-თეატრი

კინოს ისტორიის მუზეუმი - ივანე ჯავახიშვილის ქ. N 88

მუზეუმში ძირითადად დაცულია კინოს ისტორიასთან დაკავშირებული მასალები. მათ შორის: ფოტოარქივები, კინოაპარატურა, წიგნები, ბროშურები, ჟურნალ-გაზეთები, აფიშები, თოჯინები, ცნობილ კინოხელოვანთა არქივები, ქართველ კინემატოგრაფისტთა, აგრეთვე ჩარლი ჩაპლინისა და უოლტ დისნეის ვიდეოფილმების კოლექციები, ანიმაციური კინო მარკების (ქართული, აგრეთვე უოლტ დისნეის ანიმაციური ფილმები) კოლექცია.

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი -
კარგარეთელის ქ. N 6

მუზეუმის ფონდებში ინახება ძველი და თანამედროვე ქართული თეატრის, კინოს, მუსიკის და ქორეოგრაფიის ისტორიის ამსახველი უმდიდრესი მასალა - 245293 ნიმუშო. მათ შორისაა: XVII-XX ს.ს-ის ფერწერის ნიმუშები, სპარსული მინიატურები, გერმანული და ფრანგული გრავიურები, ლიტერატურისა და ხელოვნების ცნობილი მოღვაწეების მემორიალური ნივთები და არქივები. თეატრალური კოსტიუმები, აუდიო და ვიდეოჩანაწერები, აფიშები, პროგრამები, კინოფირები, თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების კოლექციები და სხვა. მუზეუმი განთავსებულია გრაფ ოლდენბურგისა და პრინცესა დადიანის მიერ 1895 წელს აგებულ სასახლეში.

რუსთაველის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მუზეუმი - რუსთაველის გამზ. N 17

მუზეუმში დაცულია 70 000-ზე მეტი მასალა თეატრში მოღვაწე რეჟისორებსა და მსახიობებზე (პირადი ნივთები, ხელნაწერები, ფოტომასალა); აგრეთვე თეატრის

მხატვართა (ლ. გუდიაშვილი, ე. ახვლედიანი, ი. გამრეკელი, ს. ქობულაძე, ს. ვირსალაძე და სხვ.) ესკიზები; თეატრის აფიშები და პროგრამები. მუზეუმს გააჩნია ბიბლიოთეკა.

კოტე მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის მუზეუმი
მარჯანიშვილის ქ. N 8

დამთვალიერებელი ნახავს ექსპონატებს თეატრში მოღვაწე რეჟისორებზე, მხატვრებზე, დრამატურგებზე; აგრეთვე თეატრის მხატვართა მაკეტები და ესკიზები; ელენე ახვლედიანის, პეტრე ოცხელის, ლადო გუდიაშვილის, დავით კაკაბაძის და სხვა ცნობილ მხატვართა ნამუშევრები.

ვერიკო ანჯაფარიძისა და მიხეილ ჭიაურელის სახლ-მუზეუმი - ვერიკო ანჯაფარიძის ქ. 16

მუზეუმში დამთვალიერებელს შეუძლია ნახოს ქართული თეატრისა და კინოს გამოჩენილი მოღვაწეების ვერიკო ანჯაფარიძის (1900-1987 წწ.), მიხეილ ჭიაურელის (1894-1974 წწ.), კოტე მახარაძისა (1926-2004 წწ.) და სოფიკო ჭიაურელის (1937-2008) არქივები, მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მდიდარი ფოტომასალა, აუდიო-ვიდეო ჩანაწერები, ხელნაწერები, წერილები, საოჯახო ნივთები, ცნობილ ქართველ მხატვართა მიერ ოჯახისთვის საჩუქრად გადაცემული ფერწერული ნამუშევრები, მიხეილ ჭიაურელის მიერ შესრულებული შარჟები, ნახატები, ქანდაკებები და სხვა. სახლ-მუზეუმთან ფუნქციონირებს ერთი მსახიობის თეატრი "ვერიკო".

უშანგი ჩხეიძის სახლ-მუზეუმი - დიმიტრი უზნაძის ქ. 12

ცნობილი მსახიობის უშანგი ჩხეიძის მემორიალურ ბინა-მუზეუმში ექსპონირებულია მსახიობის პირადი ნივთები, სასცენო კოსტუმები, მის მიერ განსახიერებული როლებისა და ცხოვრების ამსახველი მრავალფეროვანი ფოტოკოლექცია, პირადი ბიბლიოთეკა და არქივი.

აკაკი ვასაძის სახლ-მუზეუმი - აღმაშენებლის გამზირი 3

მსახიობის აკაკი ვასაძის ბინა-მუზეუმში ექსპონირებულია მსახიობის პირადი ნივთები, სასცენო კოსტუმები, მის მიერ განსახიერებული როლებისა და ცხოვრების ამსახველი მრავალფეროვანი ფოტოკოლექცია, პირადი ბიბლიოთეკა და არქივი.

მეცნიერება

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკურ მეცნიერებათა ისტორიის მუზეუმი - დავით აღმაშენებლის გამზირი N 150ა

მუზეუმი განთავსებულია უნიკალურ, ობსერვატორიული ტიპის შენობაში, რომელიც 1862 წელს აშენდა (1867 წლიდან ობსერვატორიას ეწოდა თბილისის ფიზიკური ობსერვატორია, 1924 წლიდან - თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორია, ხოლო 1991 წლიდან - ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი). ამჟამად მუზეუმში დაცულია: სინოპტიკური რუკები (XVIII-XIX სს.), სადამკვირებლო ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოები, სხვადასხვა ენებზე გამოცემული სპეციალური ლიტერატურა მეტეოროლოგიურ და სეისმურ დაკვირვებებზე და სხვ.

მინერალების მუზეუმი - ლესელიძის ქ. 27/1

მუზეუმში დაცულია პალეონტოლოგიური და სხვადასხვა სახის მინერალების ნამარხი ნიმუშები, გაქვავებული ხის, ვულკანური ქანების, საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული დამუშავებული და დაუმუშავებელი იშვიათი მინერალების, ქვაზე კვეთილი ხატების საინტერესო ნიმუშები. მუზეუმთან ფუნქციონირებს მინერალების

მიხეილ შენგელიას სახელობის ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი - დიმიტრი უზნაძის ქ. N 51

ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი წარმოადგენს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სასწავლო ბაზას. მასში დაცულია სამედიცინო ხასიათის ხელნაწერები, არქეოლოგიური არტეფაქტები, ანთროპოლოგიური მასალა, ცნობილ ქართველ მედიკოსთა პირადი არქივები, რარიტეტული სამედიცინო ლიტერატურა.

სმირნოვების მუზეუმი - გალაკტიონის ქ. N 20

მუზეუმი განთავსებულია არქიტექტორ ოტო სიმონსონის მიერ XIX ს-ის 60-იან წლებში აგებულ იმპერატორის კარის ფრეილინა ალექსანდრა სმირნოვა-როსეტის (1809-1882) შვილის სახლში. მისმა შთამომავალმა მიხეილ სმირნოვმა 1985 წელს საქართველოს საჩუქრად გადასცა სახლი და მის წინაპართა კუთვნილი საოჯახო რელიქვიები, რომელთა ბაზაზეც დაფუძნდა მუზეუმი. ამჟამად მუზეუმში დაცულია: XVIII-XIX სს.-ის ფერწერის (ფ. ვინტერჰალტერი, ი. აივაზოვსკი, ფ. კრიუგერი და სხვ.), სკულპტურის, ლითოგრაფიის, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები; XVIII-XIX-XX სს-ის დასაწყისის ევროპული და რუსული წარმოების ავეჯი, საოჯახო და პირადი მოხმარების საგნები, უნიკალური ბიბლიოთეკა, მდიდარი ფოტო და დოკუმენტური მასალა.

აბრეშუმის მუზეუმი - გიორგი ცაბაძის ქუჩა N 6

აბრეშუმისადმი მიძღვნილ მსოფლიოში ერთ-ერთ უძველეს მუზეუმში ინახება მსოფლიოს მეაბრეშუმეობის ქვეყნების პარკისა (5 000 ჯიში და ვარიაცია) და აბრეშუმის ძაფების უძველესი კოლექცია, საქსოვი დაზგები, ქსოვილები და საოჯახო მოხმარების სამშვენისები, პირველი ფაბრიკული წარმოების (ძირითადად ფრანგული) ქსოვილები,

მეაბრეშუმეობასთან დაკავშირებული ფოტომასალები და სხვადასხვა სახის შემოწირულობები, ეგზოტიკური პეპლების კოლექცია. სულ 6648 ექსპონატი.

ფულის მუზეუმი - გიორგი ლეონიძის ქუჩა 3/5

მუზეუმი განთავსებულია საქართველოს ეროვნული ბანკის შენობაში. მასში დაცულია: ფულის მოჭრისა და მიმოქცევის ისტორიასთან დაკავშირებული მასალები VI ს-დან XX ს-ის ჩათვლით: კოლხური თეთრი, ანტიკური მონეტები, სასანური დრამები, არაბული დირჰემები, ქართველ მეფეთა (დემეტრე I, გიორგი III, თამარ მეფე და სხვ.) მიერ მოჭრილი მონეტები, თურქული, რომაული, ირანული, ავსტრიული, პოლონური და სხვა ქვეყნების ფულადი ნიშნები, აგრეთვე ფულის თემაზე გამოცემული ლიტერატურა და ფულის მულტიმედიური გამოცემა (კომპაქტ-დისკზე).

მუზეუმები სასწავლებლებში

თბილისის I საჯარო სკოლის მუზეუმი - რუსთაველის გამზ. N 10

თბილისის I საჯარო სკოლის (ყოფილი თბილისის კლასიკური გიმნაზია) მუზეუმის კოლექცია მოიცავს სკოლის ორასწლოვანი ისტორიის ამსახველ მასალებს. მათ შორის: პირველი ქართული ობსერვატორიის აღჭურვილობა, საარქივო მასალები, XIX ს.-ის ლიტერატურული და სამეცნიერო გამოცემები, მუზეუმში ფუნქციონირებს უახლესი ინფრასტრუქტურით აღჭურვილი საპრეზენტაციო დარბაზი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის მუზეუმი - ჩოლოყაშვილის ქ. 3/5.

მუზეუმში დაცულია დედოფლისწყაროს რაიონში მდებარე ნაზარლების ნამოსახლარზე, სამაროვანზე და ხორანთის ნაქალაქარზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა, ასევე საგარეჯოს რაიონში მდებარე "უდაბნოს" ნამოსახლარის გათხრების მასალა და ფოტოები.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმი - ი.ჭავჭავაძის გამზ. N 1

უნივერსიტეტის მუზეუმში გაერთიანდა უნივერსიტეტში მანამდე არსებული სამუზეუმო სტრუქტურები, რომლებიც ჯერ კიდევ 1921-1925 წლებიდან ფუნქციონირებდა (საქართველოს საეკლესიო სიძველეთა მუზეუმისა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმის კოლექციების უნივერსიტეტისათვის გადაცემის შემდეგ). ამჟამად მუზეუმში დაცულია არქეოლოგიის, გეოგრაფიის,

ზოოლოგიური, მინერალოგიის, პალეონტოლოგიისა და უნივერსიტეტის ისტორიის ფონდების კოლექციები. აქ ინახება 100 000-ზე მეტი ექსპონატი

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი - ი.ჭავჭავაძის გამზ. 13 (თსუ, VIII კორპუსი, IV სართული)

მუზეუმი გაიხსნა პროფესორ გურამ შარაძის (1940-2007) პირადი ფონდის ბაზაზე – მუზეუმში დაცულია 1981 წლიდან მის მიერ მსოფლიოს თითქმის ყველა კონტინენტიდან ჩამოტანილი ემიგრანტული უნიკალური წიგნები, პერიოდული გამოცემები, ემიგრანტთა პირადი არქივები, ფოტო, აუდიო და ვიდეო არქივები, ცნობილ ემიგრანტთა მემორიალური ნივთები, ფერწერული ტილოები, ვიქტორ ნოზაძის ცნობილი პარიზული ქართული სტამბა და ა.შ. 20 000-ზე მეტი ექსპონატი

მუზეუმები ღია ცის ქვეშ

თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ მდებარეობს - კუს ტბის ასახვევი N 1

იგი პირველი ეთნოგრაფიული მუზეუმია კავკასიაში. აქ დამთვალიერებელს შეუძლია ნახოს 8 000 ექსპონატი, მათ შორის 70 ექსპონატ-ნაგებობა. მუზეუმის ტერიტორიაზე განლაგებულია 70 საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ხალხური ხუროთმოძღვრების ნიმუში საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან. ღია ცის ქვეშ მუზეუმში წარმოდგენილია 14 ეთნოგრაფიული ზონა: ქართლი, კახეთი, სამეგრელო, იმერეთი, რაჭა, აჭარა, აფხაზეთი, სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, და სხვა. გარდა ამისა, მუზეუმში დაცულია სხვადასხვა სახის ქსოვილის (ხალიჩები, ფარდაგები, ხალხური სამოსელის ნიმუშები), ხის, კერამიკის, ტყავის ნაკეთობანი. მუზეუმში ფუნქციონირებს საგანმანათლებლო ცენტრი, სადაც ბავშვებს საშუალება აქვთ, პრაქტიკულად შეისწავლონ ტრადიციული სამჭედლო და სამეთუნეო ტექნოლოგიები.

დენდროლოგიური მუზეუმი (ბოტანიკური ბაღი) - ბოტანიკური ქუჩა N 1

თბილისის ბოტანიკურ ბაღში (ყოფილი სამეფო ბაღი, რომელიც მე-19 საუკუნის დასაწყისში გაშენდა) წარმოდგენილია საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონის ფლორის მდიდარი და უნიკალური კოლექციები - 300 000-ზე მეტი ექსპონატი. ბაღის ისტორიის ამსახველი დოკუმენტაცია და ფოტომასალა. ბაღის

ფარგლებში მდებარეობს რამდენიმე ხიდი (მდ. წავკისისწყალზე), მათ შორის: 1914 წელს აშენებული თაღოვანი ხიდი ჩანჩქერის თავზე.

####

პანთეონები

ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონი, გამოჩენილ მწერალთა, საზოგადო მოღვაწეთა, მეცნიერთა და ხელოვანთა დასაკმალი ადგილი მთაწმინდის ფერდობზე, მამადავითის ეკლესიის შემოგარენში მდებარეობს. მთაწმინდის პანთეონი გაიხსნა 1929 წელს, აქ დაკრძალული ალექსანდრე გრიბოედოვის გარდაცვალების მე-100 წლისთავზე.

მთაწმინდის პანთეონშია დაკრძალული: ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე,ოლღა გურამიშვილი, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, ვასილ ბარნოვი, დავით ერისთავი, დავით კლდიაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, დიმიტრი ყიფიანი, გიორგი ლეონიძე, გალაკტიონ ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, ლადო გუდიაშვილი, კოტე მარჯანიშვილი,ნიკოლოზ ბერძენიშვილი, ილია ვეკუა, ექვთიმე თაყაიშვილი, მერაბ კოსტავა, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ოთარ ჭილაძე, ანა კალანდაძე და სხვა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე.

დიდუბის პანთეონი - XIX საუკუნის 80-90-იან წლებში დიდუბეში, ღვთისმშობლის ეკლესიის შემოგარენში, შეიქმნა დიდუბის პანთეონი, რომელსაც მეურვეობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. შემდგომ აქ ნაკლებად ცნობილ პირებს კრძალავდნენ და პანთეონმა თანდათან დაკარგა თავისი პირვანდელი დანიშნულება. 1939 წელს კი გაიხსნა ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონი, რომელიც გამოჩენილ მწერალთა, საზოგადო მოღვაწეთა, მეცნიერთა და ხელოვანთა დაკრძალვის ადგილია. აქ განისვენებენ ალექსანდრე აბაშელი, ლადო ასათიანი, ბაჩანა (თ. რაზიკაშვილი), აკაკი ბელიაშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი,დუტუ მეგრელი, ალიო მირცხულავა, შიო მღვიმელი, ტერენტი გრანელი და ა.შ.

თბილისის პარკები და ბაღები

თბილისის ზოოლოგიური პარკი - ზოოპარკი მდებარეობს მერაბ კოსტავას ქუჩაზე, მდინარე ვერეს ხეობაში. დღეს ზოოპარკში ბინადრობს როგორც ცხოველთა ქართული სახეობები: ჯიხვი, ნიამორი, არჩვი, ირემი, შველი, კოლხური ხოხობი, კავკასიური როჭო, კავკასიური შურთხი და სხვ., ასევე მსოფლიო ფაუნის წარმომადგენლები: სპილო, მაიმუნის ოჯახის რამდენიმე სახეობა, ვეფხვი, ლომი, ბეჰემოთი, ჟირაფი, თუთიყუშები, ავსტრალიური შავი გედები, მარტორქა, ზებრა და ა. შ.

თბილისის ზოოპარკს მიმზიდველს ხდის ატრაქციონები და მოზარდებისთვის შაბათ-კვირას მოწყობილი სხვადასხვა გასართობები წარმოდგენები.

მთაწმინდის პარკი "ზომბორა"

მთაწმინდის პარკი არაჩვეულებრივი გეოგრაფიული მდებარეობითა და საინტერესო ინფრასტრუქტურით, თბილისის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ნაწილია. განახლებული პარკი მრავალი გასართობით და, რაც მთავარია, ახალი ატრაქციონით შეივსო: "მოცეკვავე ხე", წყლის ატრაქციონი - "მორების "დიდი მანქანები", "მოჩვენებათა ციხე-კოშკი" - საშიში სურპრიზებით, ურჩხულებით; ტირი. ექსტრემის მოყვარულებს შეუძლიათ მიმართონ "სავარძელი შურდულს", "X ველოსიპეტი"; "მეგა დაცემა" "რვაფეხა", ამერიკული მთები და ა.შ. და რაც მთავარია, მნახველი ისიამოვნებს პარკის და თბილისის მშვენება გიგანტური ბორბალით (ემმაკის ბორბალით).

9 აპრილის სახელობის ბაღი

ყოფილი ალექსანდრეს ბაღის ზედა ნაწილი ქალაქის პირველი საზოგადოებრივი დასვენების პარკი იყო. დღეს იგი გაშლილია რუსთაველის გამზირის ჩრდილო-აღმოსავლეთით მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მიმართულებით. ბაღს ორ ნაწილად ჰყოფს რეზო თაბუკაშვილის ქუჩა. ბაღის ქვედა ნაწილი გიორგი ლეონიძის სახელს ატარებს.

ვაკის პარკი — გაშენებულია ვაკის რაიონის ბოლოში. ჩრდილოეთის მხრიდან ვაკის პარკი და ჭავჭავაძის პროსპექტი ფართო კიბის მარშებით არის დაკავშირებული. კიბე განლაგებულია პარკის მთავარ ღერძზე, რომელსაც შადრევნების მთელი კასკადი აგრძელებს. პარკის ცენტრული ღერძი ქედზე მეორე მსოფლიო ომისადმი მიძღვნილი დიდების მემორიალით სრულდება. პარკის ცენტრალური ნაწილი შადრევნითა და მრგვალი აუზით არის გამოყოფილი. ვაკის პარკს განსაკუთრებულ ხიბლს წითელი ქვიშა მატებს, რომლითაც მოპირკეთებულია სავალი გზები. ვაკის პარკში საბავშვო ქალაქი,

ღია კინოთეატრი, კაფე-ბარები და რესტორანია განთავსებული. სამხრეთ-დასავლეთით კი პარკი მიხეილ მესხის სტადიონით ბოლოვდება.

მუშტაიდის ბაღი - გადმოცემით ბაღი გააშენა ირანიდან გამოქცეულმა მირ ფეთეაღა სეიდ თავრიზიმ, რომელიც ირანის აზერბაიჯანში შიიტების რელიგიური ლიდერი - მუჯთაჰიდი იყო. მუჯთაჰიდმა დასასახლებლად თბილისი ქართველი ცოლის გამო აირჩია, რომელიც ადრე გარდაიცვალა და ამავე ბაღშია დაკრძალული.

1935 წელს მუშტაიდის ბაღში ამოქმედდა მსოფლიოში პირველი საბავშვო რკინიგზა, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს. ბაღის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობაა რელიქტური ხის, ძელქვის კორომი. ბაღში ამჟამად მიმდინარეობს რეკონსტრუქცია და უახლოეს პერიოდში იგი თანამედროვე ატრაქციონებით და სხვა გასართობი ნაგებობებით შეივსება.

რიყე - ძველი თბილისის ერთ-ერთი უბანი მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე. XIX საუკუნეში აქ იყო ბაზარი, ქარვასლა, სახელოსნოები (მკალავები, ხარაზები, ჭონები, მღებავები). XX საუკუნის 70-იან წლებში ქალაქის კეთილმოწყობის მიზნით რიყის ძველი ნაგებობები აიღეს. 2011 წელს კი გაიხსნა რიყისპარკი, შუშის ხიდით და მოცეკვავე შადრევანით.

აკვაპარკი - ნაძალადევის რაონში გაიხსნა თანამედროვე აკვაპარკი.